თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3215705

ნომერი: AR1494063

თარიღი : 07.04.2017

გაცემის თარიღი : 24.04.2017

გაცნობის თარიღი : 25.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მცხეთის II შესახვევი N5 / ქალაქი თბილისი , მცხეთის გასასვლელი , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კოროშინაძე პ/ნ 01024058386
- თბილისი საირმის ქ. N 5 ბ. 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1494063 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.14.11.041.028 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 07 აპრილის #AR1493824 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ნაზიბროლა მაღრაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.14.11.041.028 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #3209979 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების განახლებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.